საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1423

2020 წლის 5 აგვისტო

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის“:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №150/ო ბრძანებით განსაზღვრულ ამბულატორიულ დაწესებულებებში მოხვედრილი ცხელებით მიმდინარე შემთხვევა, თუ ამავდროულად აღენიშნება რესპირატორული დაავადების ნიშნები, ან, ექიმის გადაწყვეტილებით, მხოლოდ ცხელების და/ან სხვა საეჭვო კლინიკური ნიშნების მქონე პირები;

ვ) ამ პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი;“;

ა.ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{1}) პირველადი ჯანდაცვის (მათ შორის, სოფლის ექიმი და ექთანი) სამედიცინო პერსონალი;“;

ა.გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ^{1}) მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, მინდობით აღზრდაში, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მქონე ბავშვთა სახლებში, სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფილიალებში:

თ^{1}.ა) ჩარიცხული ბენეფიციარები და მომსახურე პერსონალი;

თ^{1}.ბ) ჩასარიცხი ბენეფიციარები, მომსახურებაში განთავსებამდე;

თ^{1}.გ) მომსახურებიდან დროებით გასული/გაყვანილი ბენეფიციარები, დაბრუნების დროს;

თ^{1}.დ) მომსახურებიდან არდადეგების დროს გაყვანილი ბენეფიციარები გაყვანისა და დაბრუნების დროს;“;

ბ) მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან გეგმურად, 7 დღეში ერთხელ, ხოლო სიმპტომების შემთხვევაში – ამ წესის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ამ წესის პირველი პუნქტის „ვ^{1}“, „ზ“, „თ.ა“, „კ“ „ლ“, „მ“, „ო“, „პ“ „ჟ“, „რ“, „ს“, „ქ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან გეგმურად, 14 დღეში ერთხელ, ხოლო სიმპტომების შემთხვევაში – ამ წესის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4. ამ წესის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები ტესტირებას ექვემდებარებიან მორიგეობის ვადის გათვალისწინებით გეგმურად, 14 დღეში ერთხელ, ხოლო სიმპტომების შემთხვევაში – ამ წესის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**